სპეციალური გამოშვება!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუბი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადბისიბაგზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 19-21 თებერვალი. 2021 წ. №36 (9155) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დიდი როლი ქართულ პოლიტიკაში

„ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინა

მმართველმა გუნდმა კონსულტაციების შემდეგ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა წარადგინა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„ჩემი, როგორც პარტიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, პოლიტსაბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილის დასახელების თაობაზე.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არის „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში ეკავა, თავდაპირველად, შინაგან საქმეთა მინისტრის, ხოლო შემდეგ — პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, ახლა კი მას ეკავა თავდაცვის მინისტრის პოზიცია. მისი მინისტრობისა და პრემიერმინისტრობის პერიოდში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები. ის არის გამორჩეული გამოცდილების მქონე პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია წარმატებით გაუძღვეს მთავრობის საქმიანობას და იზრუნოს იმ გამოწვევების დაძლევაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. მინდა, წარმატებები ვუსურვო ირაკლის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე“.

მთავრობის ახალი შემადგენლობა დამტკიცდება კანონით გათვალისწინებულ უმოკლეს ვადებში.

ნაცების ბინძურმა „თამაშებმა“ გიორგი გახარიაც შეიწირა!

გუშინ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა. გიორგი გახარიამ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა:

„გუშინ ნიკა მელიას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. ეს არის ადამიანი, რომელიც დიდად არასდროს სცემდა პატივს ქართულ კანონმდებლობას. ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც 20 ივნისს მოუწოდებდა ჩვენს მოქალაქეებს პარლამენტის შტურმისკენ და იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი პარლამენტში შეჭრისა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი აბსოლუტურად ურყევი პოზიციაა, რომ ერთი კონკრეტული ადამიანის მიმართ, თუნდაც კანონიერი მართლმსაჯულებით განსაზღვრული ღონისძიების აღსრულება, თუ ეს რისკს უქმნის ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან საერთოდ, ქვეყანაში ქმნის პოლიტიკური ესკალაციის შესაძლებლობას, არის მიუღებელი.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა და პოლარიზაცია, განვითარებისა და შემდგომ ქვეყნის უსაფრთხოების, მომავლის რისკებს ქმნის, მაშინ, როდესაც ჩვენ, ყველანი, ჩვენს მოქალაქეებთან ერთად, ვებრძვით გლობალურ პანდემიას, ეკონომიკურ კრიზისს, რეგიონულ გამოწვევებს და რაც მთავარია, ვებრძვით პოლარიზაციას, რათა უკეთესი მომავალი შევუქმნათ ჩვენს შვილებს, ასეთი ღონისძიება უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაზღვეული იქნება ყველა სახის რისკი და როდესაც არ იარსებებს არანაირი რისკი, მიუხედავად პოლიტიკური მიზანშეწონილობისა ან ორიენტაციისა, თითოეული ჩვენი მოქალაქის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ შექმნის არანაირ საბაბს ქვეყანაში ესკალაციისა...

ამიტომ, იქიდან გამომდინარე, რომ მე, სამწუხაროდ, ჩემს გუნდთან ერთად ვერ მივაღწიე ერთობლივ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე დაკავებული თანამდებობიდან. რა თქმა უნდა, მჯერა და მინდა, მჯეროდეს, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზაციის შემცირებას, რამეთუ დარწმუნებული ვარ, რომ პოლარიზაცია და დაპირისპირება ჩვენ შორის არის ყველაზე დიდი რისკი ქვეყნის მომავლის ეკონომიკური განვითარების და ყველა სახის კრიზისის გამკლავებისა“...

* * *

პრემიერ-მინისტრის **გადადგომასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნიკანორ მელიას საქმეზე დაგეგმილი ღონისძიება დროებით გადადო.**

ირაკლი ღარიბაშვილი: ძალიან მალე აღვადგენთ წესრიგს, რომელიც საჭიროა ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის

დღეს ჩვენთვის არის ემოციური დღე. მიუხედავად ამისა, გუნდმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და მე მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თავმჯდომარეს და გუნდს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ჩემი დასახელებისთვის. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა და უდიდესი პატივი, რომ დამტკიცების შემთხვევაში, მეორედ ვიყო ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

ჩვენი ქვეყნის წინაშე უამრავი გამოწვევაა — კოვიდპანდემია, უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა, რაც საჭიროებს სწრაფ გადაწყვეტილებებს და ამისთვის ყველანი ვართ მოწადინებულები. ჩვენ ძალიან მალე აღვადგენთ წესრიგსა და წონასწორობას, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანამ ნორმალურად, კონსტიტუციის ფარგლებში გააგრძელოს ფუნქციონირება...

ირაკლი კობახიძე: სახელმწიფომ უნდა აჩვენოს თავისი სახე თუ არა?!

გიორგი გახარიას **ჰქონდა გუნდის სხვა წევრებისგან განსხვავებული პოზიცია, სამწუხაროდ, არგუმენტები, რომლებიც გაამყარებდა მის პოზიციას, ვერ მოვისმინეთ,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბრიფინგზე განაცხადა. მისი განცხადებით, მთავრობის ფორმირება დაიწყება და დასრულდება კანონით გათვალისწინებულ უმოკლეს ვადებში.

„როგორც მოგეხსენებათ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. გიორგი გახარია იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრი. სამწუხაროა, რომ მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. ჩვენს პოლიტიკურ გუნდში ნამდვილად იყო დისკუსია ნიკანორ მელიას მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადებთან დაკავშირებით. გიორგი გახარიას გუნდის სხვა წევრებისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა ამ საკითხზე. თუმცა, სამწუხაროდ, არგუმენტები, რომლებიც გაამყარებდა მის პოზიციას, ჩვენ ვერ მოვისმინეთ.

წყალგამყოფი იყო საკითხი, სახელმწიფომ უნდა აჩვენოს თავისი სახე როგორც სახელმწიფომ, თუ არა. გუნდის დანარჩენი წევრებისთვის ამ კითხვაზე პასუხი იყო ერთმნიშვნელოვანი. ქვეყანა, სადაც არ არის უზრუნველყოფილი კანონის აღსრულება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც მას დამნაშავეები ასეთი უხეში გამოწვევის წინაშე აყენებენ, ვერ შედგება როგორც სახელმწიფო. უფრო მეტიც, სწორედ კანონის სათანადოდ არაღსრულება, ის, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ რადიკალიზაციას და პოლარიზაციას ქვეყანაში. ჩვენი, როგორც ხელისუფლების პასუხისმგებლობაა მყარად და მკაცრად დავიცვათ სახელმწიფოს ღირსება.

პრემიერ-მინისტრის გადადგომის ფონზე შს მინისტრმა მიიღო სრულიად ლოგიკური გადწყვეტილება ნიკანორ მელიას დაკავების პროცესის დროებით გადადების შესახებ. ახლა ჩვენი პოლიტიკური გუნდის ყურადღება მთლიანად იქნება კონცენტრირებული ახალი მთავრობის ფორმირებაზე. მოვუწოდებ ნიკანორ მელიას, დაემორჩილოს კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება უზრუნველყოფს კანონის აღსრულებას და მის დაპატიმრებას. მთავრობის ფორმირება დაიწყება და დასრულდება კანონით გათვალისწინებულ უმოკლეს ვადებში“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აშშ-ის საელჩო: შეინარჩუნეთ სიმშვიდე და თავიდან აიცილეთ ძალადობა!

 მოვუწოდებთ ყველას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და თავიდან აიცილონ ძალადობა – საქართველოში შეერთებული შტატების საელჩომ კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა მას შემდეგ, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში სამართალდამცველები მივიდნენ, რათა, მათი თქმით, ნიკა მელიასთვის სასამართლოს განჩინება გადაეცათ. სამართალდამცავებს ამის საშუალება არ მიეცათ.

„არსებული სახიფათო ვითარება, რომელიც ნიკა მელიას სასამართლო გადაწყვეტილებას მოჰყვა, გამომდინარეობს საარჩევნო და სასამართლო სისტემის მრავალწლიანი პრობლემებიდან. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ გამოიჩინოს მაქსიმალური თავშეკავება! არსებული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის გზა მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებებია. მოვუწოდებთ ყველას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და თავიდან აიცილონ ძალადობა“, – აღნიშნულია განცხადებაში. მანამდე, წუხელ გვიან ღამით, ამერიკის საელჩომ ნიკა მელიასთვის პატიმრობის შეფარდების შემდეგ პირველი განცხადება გაავრცელა და ხელისუფლებასა და ოპოზიციას თავშეკავებისკენ მოუწოდა...

ლიეტუვის ელჩს არაპროპორციული ზომების მიღების საფრთხე აშინებს!

ლიეტუვის ელჩი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში მივიდა. ანდრიუს კალინდრამ აღნიშნა, რომ ლიეტუვა საქართველოს ძლიერი მხარდამჭერია.

„მოგეხსენებათ, ჩვენი სახელმწიფო საქართველოს ძლიერი მხარდამჭერია. ჩვენ ვმუშაობთ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან ერთად წარმატების მისაღწევად ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ. ასევე გამოვხატავ სოლოდარობას მიმდინარე მოვლენების მიმართ. ცხადია, გვაშფოთებს ისეთი მომავალი, რომელიც შესაძლოა არაპროპორციული ზომების მიღებამ გამოიწვიოს“, – განაცხადა ელჩმა.

გიგი უგულავა: მოლაპარაკებებისთვის სივრცე არსებობს

– აცხადებს ევროპული საქართველოს წევრი გიგი უგულავა. მისი განმარტებით, ეს ყველაფერი რიგგარეშე არჩევნებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

„გამარჯვება ახლოს არის, მეგობრებო, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცე, მშვიდი. სხვათა შორის, კონსტიტუციის მიხედვითაც, როდესაც პრემიერ-მინისტრი გადადგება, ეს არის ერთი ნაბიჯი რიგგარეშე არჩევნებისკენ. ამიტომ, გონს უნდა მოეგოს ხელისუფლება“.

ელენე ხოშტარია: გიორგი გახარიამ სწორი და დასაფასებელი გადაწყვეტილება მიიღო

– ასე აფასებს ოპოზიციონერი ელენე ხოშტარია პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გიორგი გახარიას გადადგომას.

გიორგი გახარიამ პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა. ამის მიზეზად მან ნიკა მელიას დაკავების ირგვლივ განვითარებული მოვლენები დაასახელა. გახარიამ აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია ნებისმიერი კანონიერი ღონისძიების აღსრულება საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლისა თუ პოლიტიკური ესკალაციის რისკის ფასად.

პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნიკანორ მელიას საქმეზე დაგეგმილი ღონისძიება დროებით გადადო.

გურამ მაჭარაშვილი: ოპოზიცია უნდა დაელოდოს მომავალ არჩევნებს!

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გურამ მაჭარაშვილის განცხადებით, დღეს ხელისუფლებაში არჩევნების გზით არის მოსული პოლიტიკური ძალა, რომელსაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს.

მისი თქმით, აქედან გამომდინარე, ოპოზიცია უნდა დაელოდოს მომავალ არჩევნებს და ისე იმოქმედოს, რომ ოპოზიციაში მოხვედრის შანსიც არ დაკარგოს.

„ქვეყანაში, სამართლებრივ სახელმწიფოში არჩევნების შედეგად არის მოსული პოლიტიკური ძალა, რომელსაც მხარს უჭერს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, ოპოზიცია უნდა დაელოდოს მომავალ არჩევნებს და უკვე შემდეგ არჩევნებზე სცადოს ბედი. ოღონდ, ასე თუ დაელოდება, ალბათ არც ოპოზიციაში მოხვედრის შანსი ექნება. ეს არის დემოკრატიის პრინციპი და ვინც ებრძვის დემოკრატიას, პრემიერ-მინისტრის გადადგომა კი არა, ვერანაირი მოვლენა ვერ იქნება წინაპირობა იმისა, რომ დემოკრატიას რამე საფრთხე შეექმნას, ჩვენ ვართ, ვიყავით და ვიქნებით დემოკრატიის სადარაჯოზე“...

ანა დოლიძე: ეს მაგონებს 2001 წელს ზურაბ ჟვანიას გადადგომას!

მოძრაობა „ხალხისთვის“ დამფუძნებელი ანა დოლიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას გადადგომის ოთხ სავარაუდო მიზეზს ასახელებს:

„გახარიას გადადგომის ოთხი მიზეზი:

1. გახარიას გადადგომა დღეს არის დროული და სწორი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ის რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან ხდება, არის აბსოლუტური უგუნურება და სახელმწიფოსთვის საზიანო;

2. გახარია იყო მაღალრეიტინგული კაპიტალი ძალაუფლების გარეშე, რომლის გამოყენება არ ხდებოდა და, შესაბამისად, შეიძლება მან გადაწყვიტა, დროზე დაეხსნა თავი პასუხისმგებლობისგან, რომელიც მისი არ იქნებოდა – იგულისხმება მელიას დაჭერა;

3. ეს მაგონებს 2001 წელს ზურაბ ჟვანიას გადადგომას, ქვეყანაში სიტუაციის დეესკალაციის მცდელობას;

4. ვნახავთ მომავალში, ხომ არ არის ეს „ქართული ოცნების“ შიგნიდან წამოსული მცდელობა, ცალკე შექმნან პოლიტიკური ოპოზიციური გუნდი“.

ამირან სალუქვაძე: თუ არ დაადგენთ, გაყალბდა თუ არა, რომელ ახალ არჩევნებზე შეიძლება საუბარი?

ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ორ პირობას ასახელებს.

„ოპოზიცია აცხადებს მზადყოფნას მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, ოღონდ ისევ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით.

ნებისმიერ არჩევნებს, ადგილობრივს, რიგგარეშეს, მორიგს, ანუ 2024-ს, თუ შემდგომს, წინ უნდა უძღოდეს:

1. 2020 წლის არჩევნების გამოძიება, საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობით;

2. არჩევნების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა.

ეს ორი საკითხი უნდა იყოს მოლაპარაკებების მთავარი თემები. ეს ორი რამ როცა გაკეთდება, მერე თუ გსურთ, თვეში ერთხელ ჩაატარეთ. 2 თუ 3 ნოემბერს დავწერე ხმების გადათვლასთან დაკავშირებით და იმავე აზრზე ვარ. ბიულეტენები, ურნები, ოქმები, ხელმოწერები, ხალხი ადგილზეა. თუ არ დაადგენთ, გაყალბდა თუ არა, რომელ ახალ არჩევნებზე შეიძლება საუბარი?“

ლევან ლორთქიფანიძე: მელია პროვოკატორია და არა გმირი!

„ცხადია, მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს პლენარული სხდომების დარბაზში ჩატარების გამო, დეპუტატ გავრილოვის პრეზიდიუმში ჩაბრძანების გამო სუს-ის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, პასუხისუხისმგებელი პირები უნდა დაისაჯონ!!!

უბრალოდ, მაინტერესებს – რატომ არის ნიკა მელია „გავრილოვის პატიმარი“, გმირი, ოკუპაციასთან შეურიგებელი მებრძოლი???

გავრილოვის ვიზიტის გასაპროტესტებლად აუცილებელი იყო, რომ პოლიტიკურ ლიდერს ხალხისთვის იმ შენობაში შეჭრისკენ მოეწოდებინა, სადაც კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმი იდგა? გავრილოვის ვიზიტის გაპროტესტება მშვიდობიანად არ შეიძლებოდა? აუცილებელი იყო კედელზე ხალხის შუბლით მიხეთქება? აუცილებელი იყო პოლიციასთან ხელდახელ დაპირისპირება?

არ იყო აუცილებელი! გავრილოვის ვიზიტის გაპროტესტება შესაძლებელი იყო პარლამენტში შეჭრის მოწოდების გარეშე! უბრალოდ, მელიებს, ნაცებს მეტი ხმაური, მეტი სისხლი, მეტი დრამატიზმი, მეტი მუხტი სჭირდებოდათ თავიანთი კარიერისთვის.

მელია პროვოკატორია და არა გმირი!

მას შეეძლო, მშვიდობიანად გაეპროტესტებინა პრობლემა, მაგრამ შეგნებულად აირჩია შეხლა-შემოხლისა და არეულობების გზა!

ენმ-ის ოფისში მრავლად არიან შეკრებილნი ადამიანები, რომელთაც ხალხი სასტიკი პოლიციელების წინაშე მარტო დაუტოვებიათ, რათა მსხვერპლად და დემოკრატიის მებრძოლად წარმოეჩინათ თავი. ისინი მრავალჯერ წასულან შეგნებულ პროვოკაციაზე საკუთარი პოლიტიკური მაჯისცემის გამოსაცოცხლებლად!!!

ამიტომ რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობის დასაცავად, სამოქალაქო მშვიდობის შესანარჩუნებლად საქართველოს ხელისუფლების იდიოტმა წარმომადგენლებმა ერთხელ მაინც უნდა გამოიჩინონ წინდახედულება და არ დაუშვან ძალადობრივი ესკალაცია, თვალების ამოთხრა, ნეკნების ჩალეწვა და თავების გატეხვა.

დაე, გაიზიაროს მელიამ ჟულიან ასანჟის ბედი იმ გაგებით, რომ წლობით ვერ გამოდიოდეს ერთი შენობიდან.

P. S. სანამ ჩვენ ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების საშინელ სცენებს ვუყურებთ, ქვეყანა იძირება !!!“.

ნიკოლოზ სამხარაძე: გიორგი გახარიას გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ნიკოლოზ სამხარაძის განცხადებით, გადადგომასთან დაკავშირებით გიორგი გახარიას გადაწყვეტილება გუნდისთვის მოულოდნელი იყო, განსაკუთრებით იმ განცხადებების ფონზე, რასაც ის ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით უმრავლეოსობის სხდომაზე აკეთებდა.

სამხარაძის თქმით, გახარია უმრავლესობის სხდომაზე ამბობდა, რომ საქმეს სამართლებრივი გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა.

„გიორგი გახარიას გადაწყვეტილება ჩვენთვის, მთელი გუნდისთვის იყო მოულოდნელი, განსაკუთრებით იმ განცხადებების ფონზე, რომელსაც ის აკეთებდა უმრავლეობის სხდომაზე მელიას საკითხთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრი უმრავლესობის სხდომაზე ამბობდა, რომ ამ საქმეს აქვს სამართლებრივი გაგრძელება და შესაბამისად, იმის გამო, რომ სამართალი ჩვენ სხვა გზას არ გვიტოვებს, უნდა მივიღოთ ეს გადაწვყეტილება.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, თუ მან ჩათვალა, რომ რაიმე პოლიტიკური ნაბიჯით შეძლებს, დაძაბულობა განმუხტოს და მისი გადადგომა ნიკა მელიას აიძულებს, რომ გირაო გადაიხადოს, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს, მაშინ კი ბატონო, მივიღოთ ეს განცხადება, როგორც მისი ერთ-ერთი მცდელობა, რომ ნიკა მელიას აიძულოს გირაოს გადახდა. ვადამდელი არჩევნების საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ახალ მინისტრთა კაბინეტს ვერ აირჩევს. საარჩევნო სისტემა საჭიროებს რეფორმას, რომელიც დაწყებული გვაქვს და სასამართლო სისტემაში უნდა განხორციელდეს რეფორმა, რაც დაწყებულია. ეს არის ის, რასაც ჩვენი პარტნიორები ამბობდნენ“, – განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

გახარია წავიდა თუ მოდის?!

იმდენი იძახეს, გახარია მიდისო, იმდენად დააკნინეს მისი, როგორც ძვეყნის პირველი პირის ღირსება, ადგა და წავიდა!

ოღონდ, წავიდა ღირსეულად – ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე აუწყა საზოგადოებას, რომ ივანიშვილმა უდიდესი შეცდომა დაუშვა (იქნებ, არც დაუშვია და ყველაფერი გეგმაზომიერად გააკეთა), როცა მართვის ბერკეტები, ანუ მმართველი პარტიის ხელმძღვანელობა არ გადააბარა მოქმედ პრემიერ-მინისტრს და იგი სრულიად უუფლებო მდგომარეობაში დატოვა!

ვერავინ იტყვის, რომ გახარია გაიქცა!

მართალია, მისი ნაბიჯი ამ დაძაბულ სიტუაციაში შეიძლება ქვეყნისთვის სასარგებლო არ იყოს, მაგრამ, მან ამით პოლიტიკური იმიჯი და ადამიანური სახეც შერინარჩუნა - გახარია არ გახდა ჯიბის პრემიერ-მინისტრი, არ მიიღო მონაწილეობა ბინძურ შეთქმულებაში, რომელიც მხოლოდ უფალმა იცის, რას უქადის საქართველოს!

გახარია ზოგ-ზოგიერთებივით არ გაპარულა –მან ობიექტური შეფასება მისცა მოვლენების მთავარი „გმირის“ – ნიკანორ მელიას დესტრუქციულ ქმედებას, თუმცა, ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებას არსებული ურთულესი გამოწვევების გათვალისწინებით, არ უნდა დაეშვა ვითარების ესკალაცია, რაც ადვილად შესაძლებელია, სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი გახდეს მისთვის დამახასიათებელი დამანგრეველი შედეგებით!

გახარია არ გამოდგა „სკამის მონა“ – როცა დარწმუნდა, რომ საკმარისი ძალაუფლება არ ჰქონდა, მიეღო ერთპიროვნული პოლიტიკური გადაწყვეტილება და ამით ფეთქებადსაშიში პერსპექტივა აეცილებინა ქვეყნისთვის, ისე დატოვა თანამდებობა, რომ ყველაფერს ფარდა ახადა – ანუ, „ქართული ოცნების“ დაღვარჭნილი სახე გააშიშვლა!

არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვინ იქნება გახარიას მემკვიდრე – ვინც არ უნდა იყოს „ქართული ოცნებიდან“, გახარიას, როგორც სტაბილური ფსიქიკისა და მოქნილობის პოლიტიკოსს, წელამდეც ვერ მიწვდება!

ძნელი სათქმელია, ამით დაასრულებს თუ არა იგი პოლიტიკურ კარიერას. თუმცა, ლოგიკურად მისთვის ორი გამოსავალი არსებობს: ან წავიდეს საერთოდ საქართველოდან, ან შექმნას ოპოზიციური პარტია და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ერთი მთელისგან შემდგარი ორი ოდიოზური პოლიტიკური წარმონაქმნი – „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ პოლიტიკური სივრციდან განდევნოს!!!

დღევანდელი პოლიტიკური ვაკქანალიის პირობებში ამის სერიოზული რესურსი და პერსპექტივაც არსებობს! იქნებ ივანიშვილმაც სწორედ ეს პერსპექტივა დასახა და „ქართული ოცნება“ პოლიტიკური სასაფლაოსთვის გაიმეტა?!

რაც შეეხება ხალხს, ამ მარაზმის შემყურე, მას მხარს აუცილებლად დაუჭერს!

P. S. აბა გავიხსენოთ რა თქვა მან ორიოდე კვირის წინ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, როცა მას გადადგომაზე კითხვა დაუსვეს?

„მე კი არ მივდივარ, მე მოვდივარო!“

იქნებდა, სწორედ ამ პერსპექტივას გულისხმობდა?!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

ალეკო ელისაშვილი:

რას აკეთებთ, სააკაშვილს ეხმარებით ხელისუფლებაში დაბრუნებაში, რომ მერე ყველა ერთად დაგვიჭიროს?!

რას აკეთებთ, სააკაშვილს ეხმარებით ხელისუფლებაში დაბრუნებაში, რომ მერე ყველა ერთად დაგვიჭიროს და ძვლებში დაგვამტვრიოს, – ასე მიმართა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა, პარტია „მოქალაქეების“ წევრმა ალეკო ელისაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უმრავლესობის წევრებს.

მისი თქმით, ამ დღეების განმავლობაში „ქართულ ოცნებას“ მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებდა და აღნიშნა, რომ არ უნდა მიეღო პარლამენტს ის გადაწყვეტილება, რა გადაწყვეტილებაც მიიღო ნიკა მელიასთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

„ზუსტად ორი დღის წინ, ამ დარბაზში „ქართულ ოცნებას“ მოგიწოდეთ, არ მოგვეხსნა იმუნიტეტი ნიკა მელიასთვის და ვამბობდით, რომ პარლამენტი უნდა დამდგარიყო თავის სიმაღლეზე, არ ყოფილიყო პროკურატურის გაგრძელება, რათა პროცესები არ შესულიყო ჩიხში. დღეს პროცესები ჩიხშია შესული, ვხედავთ, რა ხდება ქუჩაში, ქვეყანა პრინციპში არის სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე. გთხოვდით და მოგიწოდებდით, უფრო მეტი პასუხისმგებლობა და ამ ქვეყნის სიყვარული გამოგევლინათ და არ მიგეღოთ ის გადაწყვეტილება მაშინვე, მაგრამ ჩვენთან წესია ასეთი, რომ ოპოზიციას არ უნდა მოუსმინო, და უფრო მეტიც, უნდა ებრძოლო ან უნდა სცადო, დაიჭირო ოპოზიცია. სამწუხაროდ, აი ეს ძალიან ცუდი, მანკიერი თვისება გადმოიღეთ თქვენ იმ წინა ხელისუფლებისგან, რომელთან ბრძოლაშიც გართული ხართ ცხრა წელია. იმდენად ხართ, გართული, რომ ყველაფერი გააკეთეთ თქვენც და ყველაფერი გააკეთა „ნაციონალურმა მოძრაობამაც“, სააკაშვილმა, რომ ასეთი ესკალაცია მომხდარიყო.

გირაოს არ გადავიხდი, ვერ დამიჭერთ – ერთი მხრიდან ისმოდა, მეორე მხრიდან – დაგიჭერთ, იმუნიტეტს მოგიხსნით, სპეცრაზმის მობილიზებას მოვახდენთ და ამ დროს რა ხდება – ქვეყანა გაღატაკებული, გასაცოდავებულია, ხომ ნახეთ, რომ პაციენტები გადაჰყავთ ტვირთის გადასატანი მარშრუტკებით და ხალხი კრედიტებს ვერ იხდის, ბინებს გაუყიდიან სულ ცოტა ხანში. პანდემიის გამო, ათი ათასობით ადამიანი ლუკმა-პურისა და შემოსავლის გარეშეა დარჩენილი. ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც კუნთების თამაშს ვხედავთ. ისე ხართ გართული ცხრა წელი ერთმანეთთან ბრძოლით, რომ ამასობაში ქვეყანა გადაიჩეხა ხრამში. რას აკეთებთ, შედეგი რა არის, სააკაშვილს ეხმარებით ხელისუფლებაში დაბრუნებაში, რომ მერე ყველა ერთად დაგვიჭიროს და ძვლებში დაგვამტვრიოს?! ამაში ეხმარებით თქვენ, რომ ეს თავისი ამდენი წლის დაგროვილი რევანში, ამოიყენოს ერთ მხარეს ახალაია, მეორე მხარეს მეგის ქარდავა... აი, ეს გინდათ თქვენ და როგორც ჩანს, რაღაც საიდუმლო გეგმა გაქვთ. აქეთ მიგყავთ ყველა პროცესი, რასაც ჩვენ ვხედავთ. ორი დღის წინ გითხარით, ნუ დააჭერთ ღილაკს ხელს, პარლამენტი იყოს პარლამენტი და გამოავლინოს თავისი წონა და თავისი ინსტიტუციური ღირსება. არ არის აქ მელიაზე ლაპარაკი, ყველაზე ნაკლებად მე უნდა ვიცავდე მას, მაგრამ ვნახეთ, როგორ დღეშია ქვეყანა, დარცხვენილი, შერცხვენილი პოლიცია“, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

– ერთი მთავარი რამ არის, ახლა მაინც მოეშვით კუნთების თამაშს თქვენ, „ქართული ოცნება“. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ხართ და სანამ ხართ. ამას ვიძახდით სულ და ამის გამო გვაცვეს ჯვარს, მოლაპარაკებებს არა აქვს ალტერნატივა. დასხედით და დაელაპარაკეთ იმ ხალხს, იქითაც საქართველოა, აქეთაც საქართველოა და შუაში არის გასაცოდავებული და გაღატაკებული საქართველო. ერთადერთი, ვინც სწორი და პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო, ვინც თავიდან ააცილა ქვეყანას ესკალაცია, არის ის კაცი, რომლის მიმართაც უმძიმესი დამოკიდებულება მქონდა ყოველთვის. პრემიერ-მინისტრმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება, რომ გადადგა. ქვეყანა კიდევ უფრო არ შეიყვანა დაპირისპირების გამოუვალ ჩიხში. ამდენად, მოლაპარაკებას არ აქვს ალტერნატივა. დასხედით, დაილაპარაკეთ და განიმუხტოს უნდა ეს სიტუაცია, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ხალხის აგორა

როგორც ყოველთვის, ციხე ამჯერადაც შიგნიდან გატყდა – სამშობლოს ინტერესებისთვის ხმალამოღებული მებრძოლი პრემიერ-მინისტრი „სამეფო კარის თამაშებს“ შეეწირა. სამწუხაროა, რომ გამართლდა ქვეყნის ორგულ ოპოზიციონერთა პროგნოზი – ბიძინა ივანიშვილის შემდეგ მმართველი პოლიტიკური ძალა ხერხემალში გადატყდებაო. თუმცა, ვინ იცის...

ნონა გაფრინდაშვილი,
ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიადების თერთმეტგზის ჩემპიონი.

* * *



ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ თუ გიორგი გახარიას აიძულებდნენ, ასე „მორჩილად“ გასცლოდა ბრძოლის ველს, ვერაფრით. რატომღაც მგონია, რომ რაღაც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობ თამაშს ვადევნებთ თვალს. ხომ იცით, პოლიტიკური ცხოვრება სავსეა სიბინძურით. ყოველ შემთხვევაში, მსურს, რომ ასე იყოს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ლუკა კურტანიძე,
თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი.

* * *

მოგეხსენებათ, ზაფხულში ტოკიოს ოლიმპიადაზე უნდა დავიცვათ საქართველოს სპორტული ღირსება, ამიტომ ის პოლიტიკური პროცესები, რომელიც უმნიშვნელოვანეს ფორუმამდე რამდენიმე თვით ადრე ვითარდება ჩვენს სამშობლოში, ვშიშობ, იაპონიაში „ჯვაროსანთა“ ნაჩვენებ შედეგებზე უარყოფითად არ აისახოს.

რადგან ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მეც ვისარგებლებ მოცემული შესაძლებლობით და პირდაპირ მოვჭრი: არანაირი გამართლება არ მოეძებნება დესტრუქციული ოპოზიციის დადგმულ უნიჭო სპექტაკლებს და, განსაკუთრებით, იმ ნაბიჯს, რომელიც ბატონმა გიორგი გახარიამ, დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციის გათვალისწინებით გადადგა. დიახ, უცხოელ პარტნიორთა რჩევებს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ არც საკუთარ პრინციპებზე უნდა ვთქვათ უარი.

ლაშა ტალახაძე,
ძალოსნობაში ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელი.

ზაზა ფირალიშვილი: ქვეყანა ქაოსში არ უნდა ჩაიძიროს!

პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა და მას შეეძლო მოვლენებზე გავლენის მოხდენა, მაგრამ როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ ეს იერარქია ნაკლებად არის დაცული: გავლენას ახდენენ ისინი, ვისაც ეს შეუძლია და რომელთა პოლიტიკური ქცევაც გახარიასთვის მიუღებელია, – ასე აფასებს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი გიორგი გახარიას გადაწყვეტილებას, დატოვოს პრემიერ–მინისტრის თანამდებობა, რის მიზეზადაც მან ენმ–ის თავმჯდომარის ნიკა მელიას დაკავების საკითხზე გუნდთან შეუთანხმებლობა დაასახელა.

„ის, რომ „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირება იყო, ამის შესახებ ხმები გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პარტიული თანამდებობიდან გადადგა, ბუნებრივია, მისი ადგილის დაკავებას ვიღაცები შეეცდებოდნენ და მათ აუცილებლად მოუვიდოდათ გახარიასთან კონფლიქტი“, – ამბობს ფირალიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებს, ფილოსოფოსი უშუალოდ ენმ-სა და „ქართულ ოცნებაში“ კონსენსუსის პერსპექტივას ვერ ხედავს.

„პოლიტიკური ძალები, რომლებიც ხისტი დაპირისპირების რეჟიმში იმყოფებიან (ვგულისხმობ „ქართულ ოცნებას“ და ენმ-ს), შეუძლებელია, რამეს ველოდეთ მათგან დიალოგის და კონსენსუსის თვალსაზრისით. მათ მოახერხეს, ქვეყანა იმგვარ ჩიხში შეეყვანათ, რომ საბოლოოდ მივიღე NDI-ის გამოკვლევის შედეგები: მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციასაც უცხადებს უნდობლობას. ამ ვითარებიდან გამოსვლის რესურსი მათ არა აქვთ და ეს აშკარად იგრძნობა მათსავე რიტორიკაში – გნებავთ კობახიძის, გნებავთ ენმ-ის წარმომადგენლების განცხადებებში. მქონდა იმედი, რომ ვიღაც გამოჩნდებოდა, რომელიც ამ დაპირისპირების რეჟიმს შეცვლიდა, მაგრამ ვინც კი გამოჩნდა, ან ამ დაპირისპირებაში ჩაერთო, ან რომელიღაც ფლანგზე აღმოჩნდა ფარული არხებით“.

ის იმედს იტოვებს, რომ რიგი პოლიტიკური ლიდერების მიერ პარტიული პოზიციების დათმობას პოლიტიკაში ცვლილებები მოჰყვება:

„გახარიას გადადგომას ამ ეტაპზე მაინც შევხედავდი, როგორც პოზიტიურ მოვლენას: თურმე იგივე „ქართულ ოცნებაში“ ყოფილან ადამიანები, რომლებსაც ესმით, რომ ამგვარი პოლიტიკური კურსი დაუშვებელია. როდესაც იგივე დავით ბაქრაძე და გიგი უგულავა გადადგნენ პარტიული თანამდებობებიდან, ესეც კარგის ნიშანია: ბოლოს და ბოლოს, ვიღაცები ხვდებიან ვითარების დაუშვებლობას. იგივე „ევროპული საქართველოს“ ლიდერებმა არაპირდაპირ აღიარეს, რომ პოლიტიკური სურათი, რომელიც მივიღეთ, ქვეყნისთვის დამღუპველია, უპერსპექტივოა პირადად მათთვისაც და ეს უკვე კარგია. რადგან ეს მოხდა, ამას შესაძლოა, კიდევ მოჰყვეს პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები“.

აქვე ფირალიშვილი საქართველოს პრეზიდენტის როლზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელსაც ამჟამად სალომე ზურაბიშვილი იკავებს და რომელიც მიმდინარე მოვლენებს ჯერ არ გამოხმაურებია:

„როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები საპარლამენტო რესპუბლიკისთვის იბრძოდნენ, იბრძოდნენ იმისთვის, რომ მაჟორიტარული სისტემა მოშლილიყო, მათ ელემენტარული რამ ვერ გათვალეს. მათ რომ სახელმწიფოებრივად ეაზროვნათ და არა პარტიული პრინციპებით, ეცოდინებოდათ, რომ ასეთ ქვეყანას აუცილებლად სჭირდება პრეზიდენტი, რომელიც უზენაესი არბიტრის როლს შეასრულებს მსგავს ვითარებებში. სამწუხაროდ, ქვეყანა ასეთი არბიტრის გარეშეა და როდესაც ქვეყანას ასეთი არბიტრი არ ჰყავს, ის აუცილებლად ქაოსში ჩაიძირება. იმას, რასაც ელჩები აკეთებენ, ქვეყნის პრეზიდენტი უნდა აკეთებდეს!“.

რაც შეეხება შიდა პარტიულ ცვლილებას, ფირალიშვილი დაპირისპირების მოლოდინშია:

„დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებაში“ ბევრს გაუჩნდება ეჭვი, „ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, ახალ ოპოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს, გახარიას გადადგომა ხომ არ არის ამის ნიშანიო“? ბუნებრივია, ვიღაცები განზე გადგებიან, გაჩნდება შფოთი, დაპირისპირება... ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ „ქართული ოცნება“ იოლად „გაიტანს“ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მათ ხელშია. თუნდაც „გაიტანოს“, ეს საფუძველს დაუდებს იმ განხეთქილებას, რომელიც როგორც ჩანს, გარდუვალია“...

დავით ბაგრატიონ-მუხრანელი: საშობლო ყველას გვეკუთვნის!

„საქართველოს სამეფო სახლის“ მეთაური დავით ბაგრატიონ-მუხრანელი მელიას დაპატიმრების

გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. ამის შესახებ განცხადება სამეფო სახლის ფეისბუქგვერდზე გავრცელდა.

„მთავრობასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების გამო, გამოვთქვამ ჩემს უკმაყოფილებას ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის, ამჟამინდელი ლიდერის ნიკა მელიას დაპატიმრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო. მოვუწოდებ პოლიტიკურ პარტიებს, ჩაერთონ მოლაპარაკებაში რომ პროცესებმა ქუჩიდან და სასამართლოდან გადაინაცვლოს მოლაპარაკებების მაგიდასთან, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საერთაშორიო იზოლაცია.

საქართველო გვეკუთვნის ჩვენ ყველას, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებების, წარმოშობისა და სარწმუნოებისა“, – ნათქვამია განცხადებაში.

სასამართლოს განაჩენი ნიკა მელიასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღსრულდეს!

გიორგი გახარიამ საკმაოდ ნათლად, ცხადად და გასაგებად თქვა ის, რაც იყო თავისი სათქმელი. **პარლამენტი თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა უფლებამოსილების შეჩერებას, იყო ერთიანი და მათ შორის პრემიერ-მინისტრი იყო ამ პოზიციის დამცველი და მომხრე,** – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

„ის, რაც გუშინ ვიხილეთ ჩვენი ოპონენტების მხრიდან, იყო კიდევ ერთი დადასტურება, თუ რასთან გვაქვს საქმე. ის ზეწოლა, მათ შორის ფსიქოლოგიური, რაც მიიტანეს მოსამართლეზე, თქვენ ამის მოწმე იყავით გუშინ. სხვა რომ ვერაფერი მოძებნეს, ოჯახის წევრებზე დაიწყეს საუბარი. ის, რომ მოხდა ამერიკის ელჩზე შეტევა. ამერიკის საელჩოს გვერდზე რა სიტყვებით მოიხსენიებენ ამერიკის ელჩს. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ჩვენი ოპონენტების დღის წესრიგი არის დესტრუქცია და დესტაბილიზაცია“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, სასამართლოს განაჩენი ნიკა მელიასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღსრულდეს და ამის წინააღმდეგი არც ექსპრემიერი გიორგი გახარია ყოფილა.

„ვინმეს კითხვის ნიშანი უჩნდება რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს? ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაც ხომ იმას შეეხება, რომ თავის დროზე, ნიკა მელიამ არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ნოემბერში იქნა მიღებული გირაოს გაზრდასთან დაკავშირებით. კითხვის ნიშნის ქვეშ, მათ შორის გიორგი გახარიას მხრიდან, არ დგას ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

კანონი უპირველეს ყოვლისა!

სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. **დღეს მელიას შერჩება კანონზე ძალადობა, ხვალ მთელი ქვეყანა გახდება აღვირახსნილი და მოძალადე. საქართველოში კანონი და სამართალი შეწყვეტს არსებობას.**

გახარიას გადაწყვეტილება შოკისმომგვრელია. ასეთ დასასრულს ნამდვილად არ ველოდი. კაცი, რომლისაც მთელ საქართველოს ეიმედებოდა და ეამაყებოდა, ერთ უნიჭოდ დაგებულ მახეში გაება. აშკარად იჩქარა!



ქვეყანას უფრო ძლიერი ხელი ჭირდება.

ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი

რა უხარიათ „ნერონის“ ბანაკში?!

დავით ქართველიშვილი. ანალიტიკოსი:

– პირველი და უმთავრესი – როდესაც შენი ერთადერთი და უზენაესი გზამკვლევი ამ არეულ წუთისოფელში უფალია, ვინ წავიდა ან ვინ მოვიდა – მეორე პლანზე გადადის, გარდა ერთი პირობისა: „ნერონის“ მოსვლა არ უნდა დავუშვათ. დარწმუნებული ვარ – ამაში „წამსვლელიც“ და „მომსვლელიც“ ერთიანია.

ამ ფონზე რა უხარიათ, ან რას ზეიმობენ „ნერონის“ ბანაკში – გაუგებარია. კანონის აღსრულების გადავადებას? ნუ, ჩვენც „მივულოცოთ“ მაშინ. მესმის, რომ საერთო პოლიტიკური გაკოტრების პირობებში ასეთი პატარა „სიხარულებიც“ დიდი გამარჯვების ტოლფასია მათთვის.

ან აქეთ მხარეს – რა ხდება? ჯერ კიდევ გუშინ გახარია თურმე ართმევდა თავს მოვალეობას და დღეს ლამის „ღალატის“ ქარცეცხლშია გატარებული? და რა მოხდა ისეთი, რაზეც თავისი ყურადღება არ გაუმახვილებია თავის გამოსამშვიდობებელ პოლიტიკურ სიტყვაში დღევანდელ იუბილარ ბიძინა ივანიშვილს? მივესალმებიო ოპონირებას, მივესალმებიო აზრთა სხვადასხვაობას, თუნდაც ერთი პოლიტიკური გუნდის წიაღში.

ჰქონდა ადგილი ოპონირებას? როგორც ჩანს, იყო აზრთა სხვადასხვაობა? ამას არც ყოფილი პრემიერი უარყოფს, არც მმართველი გუნდის ლიდერები. ამის ღიად დაფიქსირება, თუნდაც სამთავრობო ცვლილებების ხარჯზე, მე მირჩევნია იმ მოჩვენებით „ერთობას“ და აზრთა „ურყევ იდენტობას“ იმ პოლიტიკური მოწინააღმდეგის ბანაკში, სადაც ერთმანეთს რამოდენიმეჯერ უღალატეს, აგინეს, გადაუარეს, მაგრამ ბელადის მათრახის ქვეშ დღესაც მონური „გაერთიანების“ პოზიციებს ინარჩუნებენ ნაცების პოლიტიკურ პლანტაციებზე.

მე არანაირი სერიოზული პრეტენზია არ შემიძლია გამაჩნდეს ყოფილი პრემიერის მისამართით. არც ის ვიცი, თავის კოლეგებთან ოპონირების რა დონეზე გავიდა. საკმარისია თუ არა აზრთა ეს სხვადასხვაობა, რომ ყოფილ თანაგუნდელებთან აწ კონსტრუქციული, ცივილიზებული, პოლიტიკური ოპოზიციური პაექრობის მოედანზე გადავიდეს, თუ გუნდიდან გაუსვლელად ის უბრალოდ საქმიანობის ახალი სფეროთი დაკავდება – ამას დრო გვიჩვენებს.

მომსვლელს კი მინდა წარმატებები და მხარდაჭერა ვუსურვო, თუ კი სტაბილურობის კურსი კვლავ შენარჩუნდება, კანონის უზენაესობის, კრიზისთან წარმატებული გამკვლავების და მეხუთე კოლონის განეიტრალების საფუძვლებზე.

გია აბაშიძე, ანალიტიკოსი:

აქამდე არ მეცალა. ახლა ცოტა ხნით დრო მაქვს და გეტყვით ჩემ სუბიექტურ მოსაზრებებს გახარიას გადადგომაზე:

– მმართველ გუნდში აზრთა სხვადასხვაობის გამო გადადგომები ევროპაში დიდი ხანია, აპრობირებულია.

– გახარია კვირიკაშვილი არაა და პოლიტიკური მაწაკობის გზას არ შეუდგება.

– ნაცები მაინც ვერ მობრუნდებიან, რაც არ უნდა ფსევდო-გამარჯვებას ზეიმობდნენ.

– კიდევ ერთხელ გადახედეთ ბიძინა ივანიშვილის 11 იანვრის წერილს. დაბადების დღეს ვულოცავ დიდ ქველმოქმედსა და გროსმაისტერს!

ზაალ ანჯაფარიძე. ექსპერტი

ბ-ნო ექსპრემიერ მინისტრო, თუკი თვლით, რომ სახელმწიფოში (რომელზედაც ეტყობა თქვენებური წარმოდგენა გაქვთ!) რომელიმე მოქალაქის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება ქვეყნის განვითარებას, მის უსაფრთხოებასა და მომავალს ემუქრება და თუკი ასე წარმოგიდგენიათ სახელმწიფო, მაშინ ნამდვილად უნდა წახვიდეთ!

რატომ არ აშენდა „ანაკლია პორტი“ და...

რას უპირებენ, ხაზარაძის და მისი ავანტიურისტების მიერ ზღვის ფსკერიდან ამოტუმბულ, შეუსწავლელ მასას, რომელიც წელიწადზე მეტია, ანაკლიას და ანაკლიელებს წამლავს?!

რა საერთო აქვს მას აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებთან?

ალბათ, კარგა ხანს ვერ გამოვა, თანამედროვე კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილი, აშშ-ში ჩავლილი, „**პრეზიდენტის არჩევნების**“ მოულოდნელი შოკიდან!

– რატომ?

– იკითხავს მავანი!

რადგან, ამ ცოდვილი დედამიწის ზურგზე მცხოვრებთა (განურჩევლად კონტინენტისა) უდიდესი ნაწილი, **აშშ-ის მოვალე**,ან **მისი კოლონიის აგორიგენია**, როგორც **ჩვენ – ქართველები და** ამიტომ გვმართებს მისდამი „**თვალში ციცინი**“ თუ არა, საგანგებო ინტერესი: **რა ხდება გატონის სახლში?!**

ბუნებრივია, სხვებთან ერთად, მეც დიდ მოლოდინში ვიყავი, რა მოხდებოდა ამ არჩევნებზე, რუსეთის შემდეგ, **სიდიდით მეორე იმპერიაში** – ამერიკის შეერთებულ შტატებში. არ გაგიკვირდეთ, ე.წ. „დემოკრატიის სავანეში“ დატრიალებულმა ამბებმა ბავშვობა გამახსენა, ყოველ შაბათ-კვირას, სოფლის კლუბისკენ რომ გავრბოდით კინოს სანახავად.

კინოს „**ჟურნალი**“ უძღოდა წინ – ხშირად, ფილმზე არანაკლებ საინტერესო.

აქედან დარჩა ხალხის მეხსიერებაში:

– „**ეს ჟურნალია, შენ კინო ნახეო!**“

ბევრი რამ წარსულიდან რომ მეორდება, რა თქმა უნდა, კარგია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, – **კარგი თუ მეორდება!**

რამდენად კარგია, დრო შეაფასებს, მაგრამ **აშშ-ის „პრეზიდენტის“** არჩევნებს „**ჟურნალად**“ საქართველოში „**პარლამენტის არჩევნები**“ რომ წარემძღვარა, სწორედ ამან გამახსენა ჩემი ბავშვობა და სოფლის კლუბი.

გასული წლის 31 ოქტომბრიდან „**აირია მონასტერი**“ საქართველოში!

პარლამენტის არჩევნები ქვეყანაში: **პუტჩისტთა, ყაჩაღთა, კაცის მკვლელთა, ნარკომანთა, ლესბოსელთა, ჰომოსექსუალთა და უცხო ქვეყნების ჯაშუშთა სათარეშოდ იქცა.**

ახლა, როცა ყველაფერი ჩავლილია, შეგვიძლია პირჯვარი გადავისახოთ და უფალს შევთხოვოთ:

ღმერთო, შენ დაიფარე ყველა ხალხი და ქვეყანა, ისეთი სირცხვილისგან, რაც „**დემოკრატიის“ სამშობლოდ წოდებულ აშშ-ში მოხდა და გაანთავისუფლე ჩემი სამშობლო, მათ მიერ გაწვრთნილი თაღლითებისგან!**

აქ ცოტა ხნით გადავუხვევ სათქმელს და ისევ ბავშვობის წლებს მივუბრუნდები:

აშშ-ში მიმდინარე არჩევნების დღეებში, რამდენჯერმე დამესიზმრა ბიძაჩემის ყავისფერი რადიომიმღები, ასეთივე ფერის ბარხატგადაკრული, ერთადერთი ჩამრთველი ხმის სარეგულირებლით, ღამის პირველ საათზე რომ მივუსხდებოდით და გამთენიამდე „**ამერიკის ხმას**“ ვუსმენდით.

მომდევნო შაბათ-კვირამდე ვარჩევდით მონასმენს ჩვენს თანამოაზრეებთან ერთად და ასე ვიზრდებოდით, „**თავისუფლების**“ წყურვილით დაავადებულები.

აშშ ჩვენთვის, სიტყვის თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების გარანტიის, სამართლიანობის სიმბოლო იყო!

ყველაფერი ეს, – **ერთბაშად დაინგრა, აშშ-ის 46-ე პრეზიდენტის არჩევნების დღეებში!**

2012 წლიდან, გარდა იმისა, ქვეყანა კაცის მკვლელების და ადამიანის უფლებების ფეხქვეშგამთელავებისგან – ნაცებისგან განთავისუფლდა, რამდენიმე ზემნიშვნელოვან სახელმწიფო პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომელთა შორის „**ანაკლია პორტი**“ საუკუნის პროექტად იქნა შერაცხილი და 2012 წლიდან, მის გარშემო მიმდინარე (ხშირ შემთხვევაში სკანდალურ) მოვლენებში აქტიურად ვარ ჩართული.

2015 წლის დეკემბრამდე საქმე ისე მიდიოდა, „**ანაკლია პორტის“ტენდერს** უპირობო ფავორიტი, კონსორციუმი „**ანაკლია პორტი და ეკოპარკი**“ ჰყავდა, პორტის პროექტზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, საერთაშორისო ექსპერტების (Ernst & Young)მიერ მოწონებული „**ანაკლია პორტის წინა საპროექტო ხედვით**“ და კონსორციუმში შემავალი ჩინური და ამერიკული გიგანტი კომპანიების მონაწილეობით, პროექტის დაფინანსების უზრუნველყოფით.

2015 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, საქართველოს მთავრობაში მოულოდნელი ცვლილებების შემდეგ, მოკლე დროში, რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა და „**ანაკლია პორტის“ტენდერის** ფავორიტის როლში, ერთი წლის წინ დაფუძნებული, ყოველგვარი გამოცდილების და პორტის მშენებლობაზე წარმოდგენის არმქონე „**ხაზარაძე და კონტი ჯგუფი**“, იგივე „**ანაკლიის განვითარების კონსორციუმი**“ მოგვევლინა!

ორი წლის მანძილზე გაწელილი ტენდერი, დაჩქარებული წესით, ქვეყნის ახალმა პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა** და მისმა მოადგილემ **ქუმსიშვილმა** თვენახევარში დაასრულეს. ტენდერის ფინიშის სწორზე დარჩენილ კონსორციუმ „**ანაკლია პორტი და ეკო პარკის**“ საქმიანი შენიშვნები (რომელთა გადაწყვეტის გარეშე პროექტი ვერ იმუშავებდა, რაც მოგვიანებით ცხადი გახდა და ჩაიშალა კიდეც) უპასუხოდ დატოვეს და 2016 წლის 8 თებერვალს „**ანაკლიის განვითარების კონსორციუმი**“ გამარჯვებულად გამოაცხადეს.

იმათთვის, ვისაც მცირე წარმოდგენა მაინც ჰქონდა, რა მასშტაბისაა, წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის, 5,5 მილიარდ დოლარად შეფასებული პორტის მშენებლობა, დაუჯერებელი და ამოუხსნელი დარჩა, თუ რატომ მიიღო საქართველოს მთავრობამ პროექტის დასაღუპად განწირული გადაწყვეტილება, როცა მისი ბედი ანდო კონსორციუმს, რომელიც, როგორც ზემოთ ვახსენე, ტენდერის დასრულებამდე ერთი წლით ადრე დაფუძნდა და საქმის **ცოდნას და გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ**,როგორც მოგვიანებით გაირკვა, **არც პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტია გააჩნდა!!!**

სამი წლის განმავლობაში, „**ანაკლია პორტის**“ მშენებლობა ადგილიდან არ დაძრულა (თუ არ ჩავთვლით ზღვის ფსკერიდან ამოტუმბულ 5 მილიონ კუბურ მეტრ მომწამვლელ მასას, რომელიც 100 ჰექტარ ფართობზე 8 მეტრის სიმაღლეზეა დაზვინული) და 2019 წლის დეკემბერში, მრავალგზისი, უსაფუძვლო დათმობების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, გაბედა და გადაწყვიტა **ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის“ ჩამოერთვა პორტის მშენებლობის უფლება.**

ეს მაშინ, როცა ტენდერის პირობების მიხედვით:

ტენდერში გამარჯვებულს, პირველი ეტაპის მშენებლობა 2019 წლის დეკემბერში დაესრულებინა და ანაკლიის პორტში გემები უნდა შემოსულიყო!

ყურადღება მიაქციე მკითხველო, ამ პირობის შესრულების შემთხვევაში:

ვერანაირი პანდემია „ანაკლია პორტის“ მშენებლობას ხელს ვერ შეუშლიდა და იგი უპირობოდ გაგრძელდებოდა იმ კომპანიის მიერ, ვისაც იგი „სამრეწველო-სავაჭრო პორტად“ ჰქონდა დაგებმილი და ამ მომენტისთვის,ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ექნებოდა დახარჯული.

მავანთა დანაშაულებრივი ქმედების გამო დამდგარ შედეგს ორმაგად ამძიმებს ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილეთაგან საუკეთესო კომპანიის შესარჩევად, ძვირად ღირებული (ამბობენ, 3 მილიონი ევრო გადაუხადეს მათ), **გერმანელი ექსპერტები იყვნენ მოწვეულნი, რომლებიც პასუხს აგებდნენ მათ მიერ შერჩეული კომპანიის სანდოობაზე.**

თუ კი, საქართველოში ჩედენილ საუკუნის დანაშაულზე, ოდესმე პასუხის მომთხოვნი გამოჩნდა ქვეყანაში, გერმანელი ექსპერტები, **პასუხისგებას ვერ აცდებიან, მათი არჩევანის გამო!**

მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯის მართებულებაზე ეჭვები მაშინ გაძლიერდა, როცა ტენდერის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა – მშენებლობა 2016 წლის პირველ ივნისს დაწყებულიყო, დაირღვა და წლის ბოლომდე გადაიტანეს!

სხვა, უფრო საშიში ეჭვიც არსებობდა ტენდერის გამოცხადების დღიდან და იგი პორტის დანიშნულების „**ნამდვილობას“ეხებოდა**.

ერთ-ერთმა პირველმა მე ვახსენე, რომ:

ანაკლიაში, არა „**სამრეწველო სავაჭრო პორტის**“, არამედ„სამხედრო **ბაზის**“ მშენებლობას აპირებდნენ!

ქვეყნის მთავრობა და ე.წ. „ტენდერში **გამარჯვებული**“ ამას ყურადღებას არ აქცევდა, ეშმაკზე გაყიდული ქართული მასმედია (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფდა.

...ყველასთვის მოულოდნელად, როცა 2019 წლის დეკემბერს,„**ანაკლიის განვითარების კონსორციუმი**“ ანაკლია პორტის მშენებლობას ჩამოაშორეს, გამოჩნდნენ „**ნატოს**“ გადამდგარი გენერლები და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბატონი **პომპეო**, რომლებმაც დაუფარავად განაცხადეს, რომ „**ანაკლია პორტის“ მშენებლობა უნდა გაგრძელდეს, იგი აშშ-ის და „ნატოს“ ინტერესებში შედისო!**

გასულ წელს კი, არაერთგზის ახსენეს „**ანაკლია პორტის“მშენებლობა „ნატოს**“ სამხედრო ძალებთან კავშირში.

ზემოთ, **დონალდ ტრამპის** პირველი საპრეზიდენტო არჩევნები (08.11.2016) ვახსენე. ისიც გავიხსენოთ, რომ, მაშინ, მისი კონკურენტი, დემოკრატების წარმომადგენელი, ქალბატონი **ჰილარი კლინტონი** იყო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ისიც ცნობილია, რომ პრეზიდენტყოფილ სააკაშვილს, ქალბატონ კლინტონთან, როგორც ამბობენ, კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

საინტერესოა ასევე, **მაშინდელი პრემიერ კვირიკაშვილის და სააკაშვილის სიმპათიები ერთმანეთისადმი,** რომელიც მისი პრემიერობიდან განთავისუფლების შემდეგ საქვეყნოდ გამჟღავნდა.

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ქ-ნი **კლინტონი** არანაკლებ რადიკალურია, ვიდრე, პრეზიდენტყოფილი **სააკაშვილი**, ადვილი წარმოსადგენია, ამ ქალბატონის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რა უბედურება შეიძლებოდა საქართველოში (რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წინ გვაქვს ანაკლიაში) დატრიალებულიყო!

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, აქ გაიხსნა „**გორდიას კვანძი**“, თუ რატომ გამოაცხადეს „**ანაკლია პორტის**“ ტენდერის გამარჯვებულად „**ხაზარაძე და კონტი ჯგუფი**“, იგივე „**ანაკლიის განვითარების კონსორციუმი**“, რომელსაც **საჯარო რეესტრის** მიერ **გაცემული, რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი ქაღალდის მეტი არაფერი გააჩნდა!**

თუმცა, ნუ ვიჩქარებთ: „**ხაზარაძე და კონტი ჯგუფი**“ და მისი სამთავრობო ლობისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქ-ნი კლინტონი მსოფლიო პოლიტიკაში უცნობ **ტრამპს** უპრობლემოდ დაამარცხებდა და ანაკლიაში, პორტად წოდებული „**სამხედრო საზღვაო ბაზა**“ ასევე უპრობლემოდ დაფინანსდებოდა, რომელიმე არსებული **ბაზის პროექტიც** მოერგებოდა და ამისთვის სულაც არ იყო პორტის მშენებლობის გამოცდილება საჭირო.

ამასობაში, კიდევ ერთი საიდუმლოც გაცხადდა, თუ რატომ მოსთხოვა ე.წ-მა „**ტენდერში გამარჯვებულმა**“ მთავრობას კატეგორიულად პორტის მშენებლობის დაწყების ვადის პირველი ივნისის ნაცვლად, **2016 წლის ბოლომდე გადაეტანა!**

ტენდერში გამარჯვებულს და მათ ლობისტებს დროის მოგება სჭირდებოდათ (აშშ-ში, პრეზიდენტის არჩევნები 2016 წლის 8 ნოემბერს იყო დანიშნული), რომ მათ მიერ დაგეგმილი თანადგომა მიეღოთ, მაგრამ, როგორც უკვე ვახსენეთ, **კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის** საიდუმლო გეგმა, თავდაყირა დააყენა აშშ-ში ჩატარებული არჩევნების შედეგმა და ასე ჩაიშალა ანაკლიაში„სამრეწველო-**სავაჭრო პორტს**“ ამოფარებული „**სამხედრო ბაზის**“ მშენებლობა!

(ცალკე და უმძიმესი თემაა, რა საშიშროებას მოიცავს „სამხედრო ბაზის“ მშენებლობა ანაკლიაში).

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ, ანაკლიაში პორტის მშენებლობის ახალი ტენდერი გამოაცხადა. ახალი ტენდერის გამოცხადება (ისევე, როგორც პირველი, ჩავარდნილი ტენდერი) აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების სკანდალურ მოვლენებს ემთხვევა, რაც არასასიამოვნო მოგონებებს იწვევს.

შეცდომები რომ არ განმეორდეს, ახალი ტენდერის პირობებში ბევრი საკითხი ბუნდოვანია, რაც სასწრაფოდ უნდა გასწორდეს და არაორაზროვნად გაცხადდეს:

1. **არაფერია ნათქვამი, პორტის დანიშნულებაზე და მისი აშენების ადგილზე.**

2. რას უპირებენ, ხაზარაძის და მისი ავანტიურისტების მიერ ზღვის ფსკერიდან ამოტუმბულ, შეუსწავლელ მასას, რომელიც წელიწადზე მეტია ანაკლიას და ანაკლიელებს წამლავს?!

3. ცნობილია, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიერ შერჩეული ადგილი არ შეესაბამება „სამრეწველო-სავაჭრო პორტისთვის“ მისადაგს და იგი მდინარე თიქორის შესართავთან ერთი კილომეტრით სამხრეთითაა გადასატანი.

გამომდინარე აქედან პირველ რიგში, ზღვის ფსკერიდან ამოტუმბული მომწამლავი მასის უვნებელყოფაა გადასაწყვეტი, რაც მისივე შემოქმედს – „**ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“უნდა** დაეკისროს, **ან ტენდერის პირობებში, პირველი რიგის მოსაგვარებელ საკითხად შევიდეს!**

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, უახლოეს დღეებში,„**ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი“მეცნიერულად** შესწავლილ და დასაბუთებულ პროგრამას წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

დავით ქობალია

რედაქციისგან:

თითქმის წარმოუდგენელია, დაეთანხმო დავით ქობალიას წერილის პოლიტიკურ შეფასებებს, მაგრამ ანაკლიის უნიკალური პორტის მშენებლობის პრობლემა რომ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს მთავრობის თავზე, ცხადზე უცხადესია... ამიტომაც ვბეჭდავთ ამ წერილს და ვთხოვთ პროფესიონალ ექსპერტებს, თავიანთი აზრი გაგვიზიარონ ანაკლიის პორტის“ ყოფნა-არყოფნის საკითხზე!..

◎ საგზურისთვის

იაპონური კონტურები

დაჭრილი დათვი რომ ძალიან სახიფათოა, ბრაზილიელებთან გამართული ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირის მეოთხე ტურის შეხვედრაც მოწმობს.

მართლაც, წინა სამი მატჩის წაგების შემდეგ მეტოქემ როტერდამის აუზში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოგვიცხადა და მსაჯებს თავი 15-ჯერ(!) გააძევებინა, არადა, თავმოყვარეობა რომ სავსებით საფუძვლიანად ჰქონდა შელახული, მისი სადარბაზო ბარათიც ნათლად ასახავს: ოლიმპიური თამაშების 8-გზისა და მსოფლიოს ჩემპიონატების 9-გზის მონაწილემ 11-ჯერ იასპარეზა მსოფლიოს ლიგაზე და 2015 წელს „ბრინჯაოც“ მოიპოვა. გარდა ამისა, მის აქტივშია პანამერიკულ თამაშებში ერთხელ გამარჯვება და 6-6-ჯერ დაკავებული მეორე-მესამე ადგილები, ახალი სამყაროს ეროვნული გუნდების საერთაშორისო ტურნირებში დამსახურებული ორ-ორი „ოქრო“-„ვერცხლი“, ერთი „ბრინჯაო“ და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატებში სამჯერ მოხვეჭილი ჩემპიონობა ერთ ფინალისტობასთან ერთად.

„ჯვაროსანთა“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს თავისი მდიდარი პოტენციალი და დამაჯერებელი გამარჯვებით — 12:8 პლეი-ოფში თამაში გაინაღდეს.

გამოცდილ პარტნიორებს ამჯერადაც ღირსეულად აუბა მხარი სამი ბურთის გამტანმა ჭაბუკმა ნიკოლოზ შუშიაშვილმა, რომელსაც შეხვედრის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა.

მოკლედ, პროგრამა-მინიმუმი ვადამდე შევასრულეთ, ხოლო თუ ვისთან მოგვიწევს მეოთხედფინალში შებმა, საფიქრალი ესღა დარჩა.

ყველაფერი „ბ“ ჯგუფში უმთავრეს ფავორიტ ხორვატებთან რუსეთის ნაკრების სენსაციურმა წარმატებამ არია — 14:13. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოელთა მონაგრის ნახევარზე მეტი ვეტერანი წყალბურთელის, ამჟამად მეზობელ ქვეყანაში მოღვაწე ქართველი მწვრთნელის კახა კინწურაშვილის შეგირდებმა მიითვალეს: ხარკოვმა — 5, ნაგაევმა — 2 და დერევიანკინმა — 1 გოლი.

სავარაუდოდ, დიდი ალბათობით, სწორედ ბალკანელებთან ან მასპინძლებთან მოგვიწევს ხვალ ჯახი.

მართალია, გუშინდელ შეხვედრას ტიტულოვან და ჩვენი ჯგუფის უპირობო ლიდერ მონტენეგროსთან სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით ინტრიგა აკლდა, მაგრამ ასეთი მატჩები გუნდების პრესტიჟზე ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ დეიან სტანოიევიჩის შეგირდებმა ღირსეულად ჩააბარეს სერიოზული გამოცდა, მრისხანე მეტოქესთან ოთხიდან სამი პერიოდი ფრედ დაასრულეს და დაგვარწმუნეს, რომ ოლიმპიური საგზურის მოპოვება ნამდვილად არ განეკუთვნება უტოპიის სფეროს.

არანაკლებ ოპტიმისტურად განგვაწყობს ბიჭების ფსიქოლოგიური სიმტკიცე, რომლებმაც ჯერ ორბურთიანი სხვაობა ამოქაჩეს — 1:3 დან 3:3, ხოლო ბრძოლის მიწურულს — ოთხბურთიანი(!) — 5:11-დან 9:11.

რაც შეეხება სუსტ წერტილს, ესაა ფიზიკური კონდიციები, თუმცა ის, რაც სერბმა თავკაცმა ერთ თვეში მოახერხა, ბევრ მის კოლეგას გამოადგება სამაგალითოდ.

ისიც სათქმელია, რომ კვანძი მესამე მეოთხედის ბოლოს მას შემდეგ გაიხსნა, რაც 5:6-ზე აუზიდან ერთბაშად ბარალდი და დადვანი გაგვიძევეს — 5:7.

დავძენთ, რომ ვლადიმირ გოიკოვიჩის გუნდის კარში ბურთები **ვაპენსკიმ (2), მაგრაქველიძემ (2), ბარალდიმ, ჯახაიამ, ელაჩამ, ბითაძემ და შუშიაშვილმა გაიტანეს.**

კობა კობახიძე

განცხადება

თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, **2021** წლის **19** თებერვლიდან ცხადდება აუქციონი „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის **(CITES)** დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის სამი წლის ვადით გაცემის მიზნით. თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების ყოველწლიური კვოტა - **(5 000 000** ხუთი მილიონი ბოლქვი - არაუმეტეს **25 000** (ოცდახუთი ათასი) კგ). აუქციონის საწყისი ფასი - **264 000** (ორასსამოცდაოთხი ათასი) ლარი. აუქციონში მონაწილეობის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტგვერდზე: **https://www.eauction.ge**.

ჭყონდიდის რეზიდენციაში, სადაც ასევე, არის დედათა მონასტერი, მძიმე ხმები დადის პეტრე ცაავაზე, მრუშობის ადგილად აქცია ეკლესიაო...

ამაზრზენი ნაცი პეტრე...

წმიდა სინოდის განჩინებით, შეიქმნება სინოდის მღვდელმთავრებისაგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შეისწავლის მიტროპოლიტ პეტრე ცაავას ქმედებებს და დასკვნას წარუდგენს სინოდის სხდომას. სინოდის განჩინებაში ნათქვამია, რომ პეტრე ცაავას უკვე ჩვეულებად ექცა ცილისწამება ეკლესიისა და მის იერარქთა მიმართ. იკვეთება მიზანმიმართული საქციელი — ცრუ ინფორმაციის საფუძველზე გააღიზიანოს საზოგადოება, მიაღწიოს პოპულიზმს და ეკლესიის დისკრედიტაციას.

„სამწუხაროდ, იგი ბოროტად იყენებს სინანულისათვის მიცემულ ვადას, მასმედიის საშუალებით კვლავ აგრძელებს დესტრუქციულ ქმედებებს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის წევრების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას“, — ნათქვამია წმინდა სინოდის გადაწყვეტილებაში. კომისიის შექმნის გადაწყვეტილებას ღიმილისმომგვრელს უწოდებს აკრძალვაში მყოფი მიტროპოლიტი პეტრე ცაავა და აცხადებს, რომ ეს დროის გაყვანისა და საკითხის გადაგორების მიზნით ხდება. აკრძალვაში მყოფი მიტროპოლიტი აგრძელებს კათოლოკოს-პატრიარქის და ეკლესიის წინააღმდეგ ცილისწამებას და აცხადებს, რომ მასთან დაახლოებულმა პირმა უთხრა, რომ ის საპატრიარქოში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.

ბოდბელი ეპისკოპოსის, **მეუფე იაკობის** განცხადებით, პეტრე ცაავამ თავისი ქმედებებით საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა და ეკლესიიდან უნდა განიკვეთოს. როგორც მეუფე ამბობს, მღვდელმთავრის ხარისხი რომ არ ექნება, ვერსად დამემალება.

„მეუფე პეტრეზე ერთ რამეს გეტყვით, გუშინ მან თავის თავს საბოლოო განაჩენი გამოუტანა. იქნება განკვეთილი და მერე უკვე, მღვდელმთავრის ხარისხი რომ აღარ ექნება, პასუხს აგებს ცილისწამებებზე, პირადად მე ვერსად ვერ დამემალება. ვერ დაიცავს ვერავინ, ვერც უცხოეთი, ვერც აქ მთავრობიდან და ვერც ოპოზიციიდან. ეჭვი მიჩნდება, რასაც სხვებზე ლაპარაკობს, მაგ საქმეზე რომ ჩაეძიოთ, მაგაზეც რაღაცები გაიგოთ. გამყიდველი კაცია, პირდაპირ გეტყვით, სინდისი გაყიდა“, — განაცხადა **მეუფე იაკობმა**.

აკრძალვაში მყოფი მიტროპოლიტი პეტრე ცაავას საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება. უკვე ცნობილია, რომ პეტრე ცაავა განკვეთილი იქნება ეკლესიიდან, რასაც სწორად მიიჩნევს ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი,** რომლის განცხადებით, პეტრე ცაავა არის ადამიანი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად პოლიტიკურ თამაშს თამაშობს.

* * *

სინოდის გადაწყვეტილებით, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც იმსჯელებს პეტრე ცაავას მიერ გაჟღერებულ ბრალდებებზე და ამის შემდეგ უკვე სინოდი გადაწყვეტს განკვეთავენ თუ არა ეკლესიიდან. პეტრე ცაავას განცხადებები თანხვედრაშია „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებებთან — საუბრობს ეკლესიაში რუსულ სცენარზე; შეურაცხყოფს პატრიარქს; ამბობს, რომ პოლიტიკურად მოტივირებულია დავითგარეჯის საქმე... თვლით, რომ აუცილებელია მისი განკვეთა ეკლესიიდან?

— დავით ზარდიაშვილი: არავითარი მეუფე, პეტრე ცაავა არ არის მღვდელმთავარი, ეგ არის ადამიანი, რომელიც პოლიტიკური კონიუნქტურის გამო თავის თამაშს თამაშობს, იგივეს აკეთებს, რასაც ნაციონალები აკეთებენ. ნაციონალები ებრძვიან სახელმწიფოს, ქვეყანას, პეტრე ცაავა ებრძვის ქართულ ეკლესიას და ცდილობს ამით პირადი სარგებელი ნახოს. რა თქმა უნდა, ეკლესიის გადასაწყვეტია, უნდა განიკვეთოს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ის აზიანებს როგორც ეკლესიას, ასევე ქვეყანას.

როცა ასეთი მღვდელმსახური ჯერ კიდევ არის ეკლესიაში, რომელიც არ ერიდება არაფერს, უმძიმეს ბრალდებას აჟღერებს პატრიარქის წინააღმდეგ, რომელსაც არ იკადრებს არათუ მღვდელმთავარი, არამედ დაუნდობელი მტერიც კი, მე, როგორც რიგითი ქართველი, შეშფოთებული ვარ. საქართველოს პატრიარქზე, ამ მხცოვან კაცზე, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი აქვს მთელს მსოფლიოში, ეს ბინძური კაცი ისეთ ბრალდებებს აჟღერებს, რომელთა გამორება შეუძლებელია. ქვეყნის და ეკლესიის მტერი ვერ იტყოდა ასე პირდაპირ იმას, რასაც ცაავა ბედავს. პეტრე ცაავა სადმე ქუჩაში რომ შემხვდეს, შეიძლება თავი ვერ შევიკავო და შემოვულაწუნო.

— როგორ ფიქრობთ, პეტრე ცაავა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მოქმედებს, როცა მის პოზიციას ახმოვანებს?

— რა თქმა უნდა. ცხადია, ისინი ერთ თამაშს თამაშობენ და ამ თამაშის მოტივი არის პირადი სარგებელი. ნებისმიერი ნაძირლობის ფასად ცდილობენ მიიღონ რაღაც სარგებელი. პირადი სარგებლისთვის ყველაფერზე არიან მზად, როგორიცაა გარეჯის გაყიდვა, პატრიარქზე შეტევა, რაც ყველაზე შემაძრწუნებელია.

სამწუხაროდ, ეს კაცი ჯერ კიდევ ეკლესიის წევრია. მართალია, შეჩერებული აქვს მღვდელმთავრის ხარისხი, მაგრამ ჯერაც შეჩერებული არ აქვს სტატუსი. როცა ასეთი შინაგანი მტერი გყავს, რომელიც გარეშე მტერზე გაცილებით საშიშია, მიუთითებს იმაზე, რომ ეკლესიას სერიოზული ზომები აქვს მისაღები. მე ვერაფერს ვურჩევ ეკლესიას, მისი გადასაწყვეტია, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ განკვეთავენ ეკლესიიდან, რადგან მისი შეჩერება შეუძლებელია, ისევე როგორც ნაციონალების შეჩერება არის შეუძლებელი.

— პეტრე ცაავასთან მიმართებაში არის უამრავი კითხვა იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც ის მსახურობდა ყაზბეგში. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მოუწია ეპარქიის დატოვება, იყო ის უღირსი ქმედება, რაშიც სხვებს ადანაშაულებს. არ ფიქრობთ, რომ ლეგიტიმურია საკითხის დასმა — დაიწყოს პეტრე ცაავას წარსულით ყველაფრის გარკვევა!

— უდავოდ, გეთანხმებით. მინდა გითხრათ, რომ არა მარტო ყაზბეგში, არამედ სამეგრელოშიც იყო ეს პრობლემა. ჩემს მეგობარს, კლიმენტი კეკუტიას, რომელიც სალხინოში ცხოვრობს, კონფლიქტი ჰქონდა მასთან. მისგან ვიცი, რომ ჭყონდიდელის რეზიდენციაში, სადაც ასევე არის დედათა მონასტერი, იქაც მძიმე ხმები დადის, მრუშობის ადგილად აქცია ეკლესია, რასაც ასევე გამოკვლევა სჭირდება. ამ ადამიანის დაცემის ხარისხი ვნახეთ. პატრიარქის შეურაცხყოფა არის მთელი ეკლესიის, ერის და ბერის შეურაცხყოფა. ათეისტიც რომ იყო ადამიანი, არ უნდა იკადრო, მაგრამ ზრდილობის მიღმაა, ეთიკური ქცევის გარეთ არის. ძალიან ამაზრზენი ადამიანია.

— ოპოზიციის და მასთან აფილირებული მედიის მიერ აქტუალურია სასულიერო პირების „მხილება“, როგორ დააგროვეს უძრავი ქონება. მაგრამ იგივე წარმატებით არ ინტერესდებიან პეტრე ცაავას მიერ დაგროვილი ქონებით. ვიცით, რომ ეკლესიაში წავიდა მას შემდეგ, რაც წააგო საპარლამენტო არჩევნები. 5 წელში ხდება ეპისკოპოსი, რასაც ასევე მოჰყვა მისი გამდიდრება. ეს ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში...

— ეკლესიაში ქონების დასაგროვებლად არავინ არ მიდის. აი, პეტრე ცაავამ აშკარად ასე გააკეთა და არც არის გასაკვირი. უღირსი მღვდელმსახური ამასაც კადრულობს, რაც არის წარმოუდგენელი, საშინელებაა. ბერია, ეპისკოპოსის ხარისხში იყო აყვანილი. აღქმა აქვს დადებული, რომ არ იზრუნებს იმისთვის, რომ მოიპოვოს რაიმე მიწიერი სიმდიდრე. მან პირიქით გააკეთა, დააგროვა სიმდიდრე და ამის შესახებ ვიცით ყველამ. ესეც ეკლესიის წინააღმდეგ არის მიმართული, რითაც, საბოლოო ჯამში, ეკლესიას უტყდება სახელი.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ვაქცინირებულთა უპირატესობა მსოფლიოსა და საქართველოში



პანდემიით მნიშვნელოვნად დაზარალებული ქვეყნები ეკონომიკის გამოცოცხლებას ვაქცინაციას უკავშირებენ. იგივე ეხება ტურიზმის აღდგენასაც და საქართველოში გარკვეული იმედები სამთავრობო გადაწყვეტილებებმა გააჩინა. გაჩნდა კითხვაც: რამდენად რეალისტურია ან რამდენად უსაფრთხო COVID-19-ის ვაქცინით აცრილი უცხოელი მოქალაქეების ჩასვლა საქართველოს მსგავს ქვეყნებში, სადაც მასობრივი ვაქცინაცია ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა.

თამარ მარუთიანმა, რომელიც ისრაელში საქართველოდან არის ჩასული, 24 იანვარს „ფაიზერის“ ფირმის მეორე ვაქცინაც გაიკეთა და უკვე იცის, რომ შესაბამისი ცნობით შეუძლია უპრობლემოდ ჩამოვიდეს საქართველოში. უხარია და ჩამოსვლასაც აპირებს, მაგრამ როდის — გაურკვეველია, რადგან ჯერჯერობით ისრაელის დატოვება, გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე, შეუძლებელია.

აცრილი ადამიანები საქართველოში ყველანაირი ტესტის, თვითიზოლაციისა თუ კარანტინის გარეშე შემოვლენ და ეს წესი 1 თებერვალს განახლებულ სამთავრობო რეგულაციებშია ასახული.

- **საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად: „ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საზღვრის კვეთისას წარმოადგენს ნებისმიერი კოვიდვაქცინის სრული კურსის ჩატარების (ორი დოზა) დამადასტურებელ დოკუმენტს, შეეძლება საქართველოში საჰაერო გზით, ნებისმიერი ქვეყნიდან შემოსვლა“.**
- **საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიოლოგიური რისკების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე რეჟიმი არ იცვლება სახმელეთო საზღვრებთან მიმართებით და ის კვლავ ჩაკეტილია.**

ვაქცინაციის მასშტაბით ისრაელი (40,21%) მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს არაბთა გაერთიანებული საამიროების (41,09%) შემდეგ. ამ წყვილს მაჩვენებლებით ბევრად ჩამოუვარდებიან, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი — 17,7%; აშშ — 9,44%; საფრანგეთი — 2,75% თუ გერმანია 2.73%.

ჯერჯერობით, ვაქცინირებული პირები არ ხვდებიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. დისკრიმინაციის ფაქტორის გამო ჯერჯერობით წამყვანი ქვეყნები ვერც სპეციალური კოვიდპასპორტების შემოღებაზე შეთანხმდნენ.

ვინ ვის აჯობებს

ქვეყნებმა, სადაც ვაქცინაცია დაიწყო, კარგად იციან, რომ მეტი აცრილი ადამიანი, მეტი სიცოცხლის გადარჩენასთან ერთად, ეკონომიკის უფრო სწრაფ აღდგენასა და გაძლიერებას ნიშნავს. ჟურნალ „ეკონომისტის“ ბოლო კვლევის თანახმად, ამ მხრივ მსოფლიოს სახელმწიფოები სხვადასხვა სასტარტო პირობებში არიან და ოთხ პირობით ჯგუფად იყოფიან.

კვლევის მიგნებები ასეთია:

- **მდიდარ ქვეყნებში პრიორიტეტული ჯგუფების მარტის ბოლომდე ვაქცინირების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ გლობალური ეკონომიკური პერსპექტივა 2021 წლის შუაში გაუმჯობესდება.**
- **ეკონომიკის ზრდის ტემპი 2021 წლის მესამე და მეოთხე კვარტალებში აჩქარდება.**
- **„ნორმალური ცხოვრება“ 2021 წელს იოლად არ აღდგება, რადგან უმეტეს ქვეყნებში მასობრივი იმუნიზაციის პროგრამა 2022 წლის შუამდე ან ბოლომდე გასტანს.**

„ეკონომისტის“ კვლევის თანახმად, საქართველო ოთხი ჯგუფიდან ბოლოსწინა, ანუ მესამე ჯგუფშია და ის ე.წ. ჯოგური, საზოგადოებრივი იმუნიტეტის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი რაოდენობის ადამიანების აცრას მხოლოდ 2022 წლის ბოლოსთვის შეძლებს.

ფართომასშტაბიანი ვაქცინაცია საქართველოსთვის არცთუ ახლო პერსპექტივაა:

- **საქართველოს ვაქცინაციის ეროვნული გეგმით, „2021 წლის განმავლობაში ვაქცინაციის ჩატარების სამიზნე ნიშნული მოსახლეობის 60%-ია“.**
- **საქართველოს მთავრობის განცხადებით, თებერვლის ბოლოსთვის ელოდებიან 30 ათასამდე დოზა „ფაიზერის“ ვაქცინას, რომლითაც პირველ ეტაპზე 15 ათასამდე სამედიცინო მუშაკი უნდა აიცრას.**

ეკონომიკის აღორძინება პირდაპირ რომ უკავშირდება ფართომასშტაბიან ვაქცინაციას, ეს ეკონომიკის ექსპერტებისთვის ცხადია საქართველოშიც. „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ პრეზიდენტი რამაზ გერლიანი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ამის ახსნას რესტორნების მაგალითით ცდილობს.

„წარმოვიდგინოთ რესტორანი საქართველოში, სადაც ფართომასშტაბიანი ვაქცინაცია არ არის და წარმოვიდგინოთ რესტორანი რომელიმე ფართოდ ვაქცინირებულ ქვეყანაში. იქ, იმ რესტორანს შეუძლია, კონკრეტულ ფართობზე მიიღოს 3-ჯერ და 4-ჯერ მეტი სტუმარი, ვიდრე რესტორანმა საქართველოში. მას არ ექნება მუშაობის შეზღუდული გრაფიკი და შედეგად, შემოსავალიც მეტი ექნება.

იმ რესტორანს არ ექნება ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარჯები - ხსნარების, ტესტებისა თუ სხვა მოწყობილობებისთვის. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ის არის, რომ მათ არ ექნებათ მოულოდნელად დახურვის შიში და ამიტომ ინვესტიციებსაც ჩადებენ განვითარებაში“, — უთხრა „რადიო თავისუფლებას“ გერლიანმა.

ვაქცინირებული ტურისტები არავაქცინირებულ ქვეყანაში

თუკი საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებას კიდევ ერთხელ გადავხედავთ, იქ წერია, რომ საქართველოში შემოსასვლელად სტუმარმა უნდა წარმოადგინოს „ნებისმიერი კოვიდვაქცინის“ ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუმცა, ჯერჯერობით დაუდგენელია, „ნებისმიერი ვაქცინით“ აცრა უზრუნველყოფს თუ არა აბსოლუტურ უსაფრთხოებას:

მისი თქმით, ვიდრე ამ მხრივ სხვა ვაქცინების ამბავი გაირკვევა, ეს ფაქტორი გასათვალისწინებელი იქნება ყველა ვაქცინირებული მოგზაურისთვისაც, რადგან არსებობს რისკი, რომ არავაქცინირებული ქვეყნიდან მან ვირუსი ჩაიტანოს თავის ქვეყანაში და რომელიმე აუცრელ ადამიანს გადასდოს.

ე.წ. ჯოგური იმუნიტეტი, რაც აცრილი ადამიანების გაძლიერების ხარჯზე აუცრელების დაცვას გულისხმობს, სხვადასხვა მოსაზრებით, 60-85%-ის ფარგლებში მერყეობს. კულუმბეგოვი მაღალ მაჩვენებელს ემხრობა და გვეუბნება იმასაც, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის „ჯოგური იმუნიტეტი“ მხოლოდ ამ ქვეყნის შიდა დაცულობისთვის გამოდგება; საერთაშორისო კონტაქტების დაცულობისთვის კი — **„გლობალურად მსოფლიოში 80-85%-იანი დაცვის უზრუნველყოფაა აუცილებელი“.**

ბიძინა კულუმბეგოვის თქმით, ჯერჯერობით ასევე დაუზუსტებელია, რა ხანგრძლივობის იქნება ამა თუ იმ ვაქცინის ზემოქმედების შედეგად გამომუშავებული იმუნიტეტი.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებამ — ვაქცინირებული მოგზაურების ქვეყანაში უპრობლემოდ შემოშვების შესახებ, გარკვეული იმედები გაუჩინა ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს. როგორც რამდენიმე მათგანმა უთხრა „რადიო თავისუფლებას“, შესაძლოა, სამომავლოდ ტურიზმმა საქართველოში სწორედ ვაქცინირებული მოგზაურების წყალობით ამოისუნთქოს.

თუმცა საკითხს ასე არ უყურებს ტურიზმის ექსპერტი, კომპანია „ჰელისკი ჯორჯიას“ დამფუძნებელი ვატო ასათაშვილი. ის ფიქრობს, რომ საქართველო არ არის მზად ტურისტების მისაღებად იმ პირობებში, როდესაც ტურიზმის ყველა რგოლის ბიზნესი სავალალო მდგომარეობაშია და არაპროგნოზირებად სიტუაციაში, დროებით გახსნას შესაძლოა უფრო ხანგრძლივი დაკეტვაც მოჰყვეს.

თუკი ვაქცინირებული მაღალბიუჯეტიანი მოგზაურები მართლაც ჩამოვლენ საქართველოში, რამაზ გერლიანის თქმით, **„ეს გარკვეულ შემოსავალს მართლაც მოიტანს“**; თუმცა ფიქრობს, რომ ეს რამდენიმე თვეზე ადრე ვერ მოხდება და საქართველოს 6.1%-ით შემცირებულ ეკონომიკას ხელშესახებ შედეგს ვერ მისცემს. ბიზნესის ამოსასუნთქი ერთადერთი გამოსავალი, შიდა რეგულაციების შემსუბუქება და ქვეყნის გახსნაა — **„ბუნებრივია, სიფრთხილის ზომებითა და ამ ზომების სათანადოდ გაკონტროლებით“.**

ლელა კუნჭულია,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი 2000 წლიდან.

შიში უძლური რამ არის...

აშშ-ში ქალაქ სიეტლის 90 წლის მცხოვრებმა ფრენ გოლდმანმა დიდთოვლობის მიუხედავად კორონავირუსის დაგეგმილ აცრაზე უარი არ თქვა და კლინიკაში მისასვლელად 9,6 კილომეტრი ფეხით გაიარა..

როგორც მოგვიანებით ქალმა ჟურნალისტებს განუმარტა, ის აცრის გასაკეთებლად სხვადასხვა კლინიკებში რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა ჩაწერას. როცა მან დანიშნულების მიღება მოახერხა, სიეტლში დიდთოვლობა დაიწყო. გოლდმანმა იფიქრა, რომ ეს სატრანსპორტო კოლაფსს გამოიწვევდა, ამიტომ გადაწყვიტა, გაერკვია, შეძლებდა თუ არა დათქმულ დროს აცრის გასაკეთებლად ფეხით მისვლას. მან კლინიკამდე გზის ორი მესამედის გავლა შეძლო, დარწმუნდა, რომ მიზანს მიაღწევდა და მეორე დღეს კლინიკისკენ თხილამურების ჯოხების დახმარებით გაემართა.

„გზა მარტივი არ ყოფილა“, — აღნიშნა ქალმა. ამის მიუხედავად, ის კლინიკაში მხოლოდ 5-წუთიანი დაგვიანებით მივიდა და კორონავირუსზე აიცრა.

...სამართალი, ღმერთო, სად არის?!



გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ მსოფლიოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა არასამართლიანად და არათანაბრად ნაწილდება, რამაც პანდემიასთან ბრძოლა სერიოზულად შეიძლება გაართულოს.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანებს ვაქცინაციის გავლის შესაძლებლობა მსოფლიოს ყველა კუთხეში ჰქონდეთ. თუმცა, ვაქცინების განაწილება დიდწილად არასამართლიანი და არათანაბარი იყო“, — აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა. ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ მსოფლიოში გაკეთებული ვაქცინების 75% ათ ქვეყანაზე მოდის.

„და ამ დროს 130-ზე მეტ ქვეყანას ვაქცინის ერთი დოზაც არ მიუღია“, — აღნიშნა მან.



გილოცავთ, კოლეგა!
არმაზ სანებლიძე იუბილარია!

პირადი მაგალითის ძალა ამ ბოლო დროს იქცა ფეხის ხმას აყოლილთათვის გაცვეთილ და „იმ“ პერიოდიდან გადმოყოლილ საჩოთირო ფრაზად, თორემ ჟურნალისტიკაში დაფრთიანებული თაობებისთვის **არმაზ სანებლიძის** სახელი მართლაც რომ ჩვენი პროფესიის ღირსების სინონიმადაა მიჩნეული.

დიახ, ყველას კარგად გვახსოვს ქართული ტელევიზიის პრაქტიკოსი თავკაცის ძარღვიანი რეპორტაჟები ავღანეთიდან, რადიაციული კატასტროფით იავარქმნილი ჩერნობილიდან თუ ძმათამკვლელი ომის ეპიცენტრ აფხაზეთიდან.

დაუვიწყარია აგრეთვე ჩვენი გაზეთის რედაქტორობისას ბატონი არმაზის მიერ საკუთარი ინიციატივით „კვირის საუკეთესო წერილისა თუ სათაურისთვის“ დაწესებული ფულადი ჯილდო, თანამედროვენი სტიმულირების ფორმად რომ ნათლავენ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ნაყოფიერ მოღვაწეობაში მიილია წლები და უკვე მწ-ე დაბადების დღეს ვულოცავთ ძვირფას უფროს კოლეგას.

მრავალჟამიერ, ბატონო არმაზ!

„სრ“ რედაქცია

ბოლომდე გამოვიძიოთ, რა მოხდა!

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ხოლო არჩევნებში დაფიქსირებული დარღვევები გამოძიებული უნდა იყოს.

„ჩვენ არჩევნებში გავიმარჯვეთ. სამარცხვინო იყო ის, რაც მოხდა, სრულიად სამარცხვინო“, — აღნიშნა დონალდ ტრამპმა ტელეარხ Newsmax TV-სთან ინტერვიუში. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2016 წლის არჩევნებთან შედარებით, 2020 წელს 12 მილიონით მეტი ხმა მიიღო.

„ჩვენ არ გვინდოდა 12 მილიონით მეტი ხმა. 3 მილიონით მეტი ხმა გვჭირდებოდა და არ წავაგებდით. თუმცა, ძალიან ცუდი რამე მოხდა არჩევნებში. მესამე მსოფლიოს ქვეყნის არჩევნებს ჰგავდა. ბოლომდე უნდა გამოვიძიოთ, რა მოხდა“, — განაცხადა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა. ამასთან ერთად დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჯერ ზუსტად ვერ იტყვის, მიიღებს თუ არა მონაწილეობას 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

„ჯერ ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენ უდიდესი მხარდაჭერა გვაქვს. გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ მხარდაჭერა უზარმაზარია“, — აღნიშნა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა. დონალდ ტრამპმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ იმპიჩმენტის შემდეგ მისი რეიტინგი გაიზარდა.

ჟურნალისტებს პატიმრობა მიუსაჯეს

მინსკის სასამართლომ პოლონური ტელეკომპანია „ბელსატის“ ორ ჟურნალისტს ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. კატერინა ბახვალოვას და დარია ჩულცოვას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით წაუყენეს, რაც საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის ქმედებების ორგანიზებას ან ამ ქმედებებში მონაწილეობას გულისხმობს.

ორივე ჟურნალისტი ორ წელს საერთო რეჟიმის კოლონიაში გაატარებს. მანამდე სასამართლომ ასევე შეისწავლა ჟურნალისტების მიმართ წაყენებული კიდევ ერთი ბრალდება, რომლიც მიხედვითაც, მათმა რეპორტაჟმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერება გამოიწვია. ამ საქმეზე რეპორტიორებს ჯარიმის გადახდა დაეკისრათ, რაც ბრალდებულების ნათესავებმა დაფარეს და საქმე დაიხურა.

„ბელსატის“ ჟურნალისტები 15 ნოემბერს დააკავეს, როდესაც ისინი ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების დროს დაღუპული მოქალაქის, რომან ბონდარენკოს ხსოვნისადმი მიძღვნილი დემონსტრაციიდან რეპორტაჟს ამზადებდნენ. უფლებადამცველებმა ორივე ჟურნალისტი პოლიტპატიმრად აღიარეს.

ედინბურგის ჰერცოგი ფილიპი საავადმყოფოში გადაიყვანეს

ბრიტანეთის დედოფლის მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი ფილიპი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბუკინგემის სასახლეში აცხადებენ, რომ ჰერცოგის ჰოსპიტალიზაციის გადაწყვეტილება ექიმების რჩევით მიიღეს. ჰერცოგი ფილიპი საავადმყოფოში რამდენიმე დღეს გაატარებს.

როგორც სააგენტო Reuters-ი იუწყება, ედინბურგის ჰერცოგი საავადმყოფოში ჩვეულებრივი მანქანით მიიყვანეს და მას საავადმყოფოს შენობაში შესასვლელად დახმარება არ დასჭირვებია.

პანდემიამ მსოფლიო ბრენდებიც დააზარალა

მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ბრენდი სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებაში „Adidas“ თავის შვილობილ კომპანია „Reebok“-ს ყიდის. გერმანული კონცერნის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ცალ-ცალკე უფრო კარგად შეძლებენ მომავალში განვითარებას.

„Adidas“-მა „Reebok“ 2006 წელს შეიძინა. წლების განმავლობაში ორივე ბრენდს თავისი ნიშა ჰქონდა მსოფლიო ბაზარზე. 2020 წლის პანდემიამ კი „Adidas“-ის მოგება 33 %-ით შეამცირა, ხოლო „Reebok“-ის დანაკარგი 44% გახლდათ. „Adidas“-ის სპორტული ხაზი 1926 წელს ადოლფ დასლერმა დააარსა და იგი დღემდე მსოფლიოში სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის წარმოებაში უმსხვილეს კომპანიად ითვლება.

კიმ ჩენ ინმა მეუღლე გამოაჩინა

ჩრდილოეთ კორეას და მის ლიდერს კიმ ჩენ ინს, რომ ყველაფერში თავისი წესები და კანონები აქვს, ახალი არავისთვისაა. როგორც ადგილობრივი მასმედია იუწყება, ჩრდილოეთ კორეის ლიდერის მეუღლე ბოლო წლის განმავლობაში არსად გამოჩენილა. ვრცელდებოდა ვერსია მისი ავადმყოფობის შესახებ. ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ, რომ კიმ ჩენ ინს მეუღლე რი სოლ-ჯუ დასჯილი ჰყავდა.

ეს ქვეყანა იმდენად ჩაკეტილია და მალავს ყველაფერს, რომ პირველი ლედის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ მოიპოვება.

დასავლური მედიის ცნობით, ქალბატონის სახელი და გვარიც კი ფსევდონიმია. აგრეთვე უცნობია მისი დაბადების ზუსტი დრო და თარიღიც. ერთწლიანი პაუზის შემდეგ ქვეყნის ლიდერმა მეუღლე გამოაჩინა და მასთან ერთად მამის, კიმ ჩენ ირისადმი მიძღვნილ საღამოს დაესწრო.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3044; ევრო - 3.9871;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5832;
100 რუბლი - 4.4741; თურქული ლირა - 0.4718;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9328;
1000 სომხური დრამი - 6.3303.

ამინდი 19 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+2
მთიანი რაიონები -	ღამე	-17,	დღე	-3
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	0
თბილისი:	ღამე	-7,	დღე	+3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge